

relations suffer financial and other losses associated with the process of taxation, the negative deviations for the subject of his alleged relations of the states of the future, on the basis of which they make decisions in the present.

Managing tax risk largely depends on the availability of information about the probability of occurrence and magnitude of their effects, expressed value. Informed decisions on the impact on taxation will be accepted if all the consequences of a decision can be accurately assessed. In the face of uncertainty, it is necessary to work to find enough information in order to bring this option to the possibility of analyzing the consequences of risk occurrence and the adoption of certain decisions.

**ქართული თეორიის
თანაგედროვე პრობლემები**

**აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების
და სტუდენტთა სწავლების თვითმდიდრებულებისა
და ღირებულების სიდიდებს შორის კორელაციური
კავშირის დადგენის შესახებ¹**

მაია გიორგობიანი

ემდ, პროფესორი

გურამ მეტეხელი

ემდ, პროფესორი

რამოდენიმე შემთხვევითი სიდიდეს შორის შეიძლება არსებობდეს ურთიერთობის (დამოკიდებულების) განსხვავებული ფორმები – ფუნქციონალური, სტატისტიკური, კორელაციური – ან მათ შორის შეიძლება არ იყოს არავითარი დამოკიდებულება. ყველა ფუნქციონალური დამოკიდებულება წარმოადგენს მკაცრად დეტერმინირებულს და ამიტომ ისინი იშვიათად ვლინდებიან. სტატისტიკური და კორელაციური დამოკიდებულება ყოველთვის ატარებს სტოქასტიკურ ხასიათს. თუ რამოდენიმე სიდიდიდან ერთერთის ცვლილება იწვევს დანარჩენი სიდიდეების ალბათური განაწილების ცვალებადობას, მაშინ ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენს სტატისტიკურს. თუ კი რამოდენიმე სიდიდიდან ერთერთის ცვლილებით იცვლება სხვა სიდიდეების საშუალო სტატისტიკური მნიშვნელობები, მაშინ ასეთი სტატისტიკური დამოკიდებულება არის კორელაციური.

კორელაცია შეიძლება იყოს პირდაპირი იმ შემთხვევაში, თუ ორი ან რამოდენიმე სიდიდის ურთიერთობა ისეთია, რომ მათი მნიშვნელობები იზრდება ან მცირდება. უკუ (შებრუნებულ) კორელაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სიდიდე იზ-

¹ გაგრძელება ამავე ჟურნალში დაბეჭდილი სტატიისა: "ფიქრები ცარიელი სამკითხველო დარბაზებისა და გამოუყენებელი სასწავლო ლიტერატურის შესახებ", №7-8, 2011 წ.

რდება მეორის შემცირების შედეგად. კორელაცია შეიძლება იყოს მეტნაკლებად მჭიდრო იმ შემთხვევაში, თუ ორი ან რამოდენიმე სიდიდის დამოკიდებულება მეტნაკლებად ხისტი, გარკვევით ან ზუსტად არის გამოკვეთილი. ასე მაგალითად, აკადემიური პერსონალის ხელფასი ორი სახისაა: ნომინალური და რეალური. ნომინალური ხელფასი არის ფულადი თანხა, რომელსაც იღებს მუშაკი განეული შრომისათვის. ხოლო რეალური ხელფასი არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეუძლია ადამიანს თავისი ნომინალური ფულადი ხელფასით. მისი სიდიდე დამოკიდებულია ორ ფაქტორზე – ნომინალური ხელფასის სიდიდეზე და საარსებო საშუალებათა ფასების დონეზე. ნომინალურ ხელფასს, საარსებო საშუალებათა ფასებს და რეალურ ხელფასს შორის ურთიერთდამოკიდებულება ასეთია: თუ საარსებო საშუალებათა ფასები უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება ნომინალური ხელფასის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, თუ ნომინალური ხელფასი უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება ნომინალური ხელფასის ცვლილების პირდაპირპროპორციულად. თუ ნომინალური ხელფასი უცვლელია, მაშინ რეალური ხელფასი შეიცვლება საარსებო საშუალებათა ფასების უკუპროპორციულად. ნომინალური ხელფასისა და საარსებო საშუალებათა ფასების ერთდროული ცვლილების დროს რეალური ხელფასის ცვლილებას განსაზღვრავს ნომინალური ხელფასისა და საარსებო საშუალებათა ფასების ინდექსთა თანაფარდობა.

ნომინალური ხელფასის მყიდველუნარიანობის გაანგარიშებისათვის საჭიროა მისგან საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადების გამოქვითვა, ხოლო რეალური ხელფასის სიდიდის განსაზღვრისათვის საჭიროა ნომინალურ ხელფასს გამოაკლდეს ინდივიდუალური გადასახადები. ციფრს, რომელიც გვიჩვენებს სიდიდეებს შორის კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს კორელაციის კოეფიციენტი ეწოდება. იგი პირდაპირი კორელაციის შემთხვევაში გამოსახულია დადებითი სიდიდით, ხოლო შებრუნებულისას – უარყოფითი სიდიდით. მათი აბსოლუტური სიდიდეები იმყოფება 0 და 1 შორის. ორი შემთხვევითი სიდიდის X და Y ურთიერთობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს კორელაციური მონენტის. იგი განისაზღვრება ამ სიდიდეების ნამრავლთა მათემატი-

კური მოლოდინის გადახრით

$$m_{xy} = M(XY) - M(X)M(Y)$$

თუ X და Y არ არის ურთიერთდამოკიდებული, მაშინ $m_{xy} = 0$. თუ X და Y ურთიერთდამოკიდებულია, მაშინ $m_{xy} \neq 0$.

განვიხილოთ ორი ინფორმაციული ობიექტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების და სტუდენტთა სწავლების ღირებულების სიდიდეების კორელაციური კავშირი. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში საათობრივი ანაზღაურების წესით მონეული და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში როგორც შტატში მომუშავე, ასევე საათობრივი წესით მონეული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების სისტემები იდენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხელფასს იღებენ მხოლოდდამხოლოდ ფაქტობრივად ჩატარებულ საათებზე. რაც შეეხება ერთი საათის ანაზღაურების განაკვეთის სიდიდეს, იგი დამოკიდებულია მხოლოდდამხოლოდ მოცემული სასწავლებლის ხელმძღვანელის ნებასურვილზე, მის შეხედულებაზე. ამასთან უგულველყოფილია მისი და დიფერენცირებული სწავლების ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული) ურთიერთკავშირი, რომელიც ლექტორის შრომის სირთულის ხარისხს განსაზღვრავს. შრომის ანაზღაურების ასეთი სისტემით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ აკადემიური პერსონალი წელიწადში პრაქტიკულად 5-6 თვე არის დასაქმებული, რაც ფაქტობრივად 0,5 განაკვეთზე მუშაობას ნიშნავს, რითაც 2-ჯერ მცირდება საათობრივი ანაზღაურების ისედაც შემცირებული განაკვეთი. ისმის კითხვა: რა არის მთელი ამ ფილოსოფიის საფუძველი, როგორ იქმნება ბიზნესის ამ სფეროში ზედმეტი ღირებულება, რაც მოგების ძირითად წყაროს წარმოადგენს? დასმული კითხვის პასუხი, ჩვენი აზრით, სასწავლო კრედიტების (საათების) განაწილების ე.წ. საკონტაქტო სისტემის შემოღების პრაქტიკის იდეაში უნდა ვეძებოთ. ნებისმიერ დისციპლინაში ლექტორს ე.წ. საკონტაქტო საათების სახით (ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად) გამოყოფილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული საათების 1/3 ანუ 30% (რაზეც ეძლევა მას ხელფასი), ხოლო სტუდენტს – საათების 2/3 ანუ 70%. სტუდენტი სწავლის ქირას იხდის არა მხოლოდ იმ საათებზე (30%-ზე), რომლითაც იგი სარგებლობს ლექტორის

მომსახურებით, არამედ 70%-ზეც, რომელიც მას დათმობილი აქვს ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მეცადინეობის განსახორციელებლად. ამ ლოგიკიდან გამომდინარე სტუდენტმა წლიური გადასახადი უნდა გადაიხადოს არა 2200 ლარი, არამედ მისი 30%, ანუ 660 ლარი და ჩამოენეროს მას 1540 ლარი (2200-ის 70%). ეს თანხა (660 ლარი) არის სტუდენტის მომზადებაზე გაწეული ე.წ. პირდაპირი დანახარჯები. ამას თუ დავუმატებთ არაპირდაპირ ხარჯებს (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს, გათბობის, განათების, დღგ-ის, მოგების და ა.შ. ხარჯებს) ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით დაახლოებით 40 ლარს (ჩვენი გათვლებით რაც სავსებით საკმარისია) მივიღებთ სტუდენტის მიერ გადასახდელ საბოლოო თანხას 700 ლარს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე მას ჩამოენერება 1500 ლარი, რითაც სტუდენტობას შეინარჩუნებს ასობით და ათასობით პიროვნება, რომლებიც უსახსრობის გამო წყვეტენ სწავლის პროცესს და სტოვებენ უმაღლეს სასწავლებლებს.

მასობრივი სპეციალობისა და კვალიფიკაციის ბაკალავრების მომზადებიდან უნდა გამოვყოთ ის სპეციალობები, (მაგალითად, სამედიცინო პროფილის), რომლებიც პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის საჭიროებენ სპეციალურ ლაბორატორიებს აღჭურვილ სათანადო მონყობილობებით, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და ზრდის სტუდენტის მომზადების თვითღირებულებას, თუმცა ამ სპეციალობების მომზადების წლიური გადასახადი გაცილებით აღემატება 2200 ლარს, რაც არსებით გავლენას ვერ ახდენს ჩვენს მიერ დადგენილ კანონზომიერებაზე და მიღებული კვლევის შედეგებზე.

აღბათ ცალკე კვლევის საგანია ის ე.წ. პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სტუდენტთა მომზადების წლიური გადასახადი რამოდენიმეჯერ აღემატება 2200 ლარს. გასარკვევი და დასადგენია რა სასწავლო პროგრამებით ეუფლებიან ეს სტუდენტები ცოდნას და ვინ არიან ის განსაკუთრებული პროფესორები, რომელთა მიერ გაყიდული ცოდნა ასე ძვირად ფასობს? თუ გამოვალთ ამ სტუდენტთა მშობლების თვითური ხელფასის, პრემიების და სხვა შემოსავლების სიდიდიდან სრულებით არ არის გასაკვირი ასეთი მაღალი გადასახადი, მაგალითად, თუ დავუჯერებთ 2012 წლის

9 სექტემბერს მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების (შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი) გამართულ სატელევიზიო დებატებზე ბატონი შალვა ნათელაშვილის ნათქვამს, რომ კვარციტის ოქროს საბადოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კობა ნაყოფიას (ეს ის პიროვნებაა, რომელმაც თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ ელენე ხარაბაძეს კაბინეტი და ლაბორატორია მოუწყო) 26 წლის ლანირაკი შვილის ხელფასი 2 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს (რა უფლება გვაქვს მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გამონათქვამის სიმართლეში ეჭვი შევიტანოთ), კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს ამ კატეგორიის მშობელთა შვილების სწავლის ქირა.

წინამდებარე სტატიის მკითხველთა გარკვეულ ნაწილს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მისი ავტორები ბიზნესის წარმოების წინააღმდეგი არიან მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოება ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთ საშუალებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ხედავს და სრულიად სამართლიანადაც. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ბიზნესი და მოგება განუყოფელი სინონიმებია, ანუ ბიზნესი არ არსებობს მოგების გარეშე და პირიქით. მოგების წყაროს კი ზედმეტი ღირებულება ქმნის, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველი ჩვენს შემთხვევაში აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სტუდენტთა სწავლის ქირის გადასახადების სიდიდეებს შორის არაადეკვატურობაში მდგომარეობს. დასასრულს ხაზგასმით გვინდა ავლნიშნოთ, რომ სტატიის გამოქვეყნება ბიზნესის წარმოების უარყოფას კი არ ისახავს მიზნად, არამედ იგი არის ამ სფეროს უსამართლოდ მომხვეჭელ ე.წ. ბიზნესმენტთა საჯაროდ მხილების პირველი მცდელობა.